

საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები  
დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით

თამარ ალხანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან გიგუაშვილი, სამართლის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული და ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

თამარ ალხანაშვილი

16 მარტი 2021

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მთავარ საკვლევ საკითხად წარმოდგენილია დაზარალებულის უფლებები, არა სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე ეტაპზე, არამედ მისი როლის და უფლებების ანალიზი მთლიანობაში, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე. 2010 წელს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რიგი უფლებამოსილებები შეუზღუდა დაზარალებულს, რის შედეგადაც დღესდღეობით იგი აღარ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის სრულუფლებიან მხარეს და უფლებებით უტოლდება მოწმეს. აღნიშნულ ცვლილებებს, უპირველესად მხარეების უფლებრივი მდგომარეობა მეტად უნდა გაეთანაბრებინა, თუმცა რეალურად ამ ყოველივემ საკმაოდ ბევრი პრობლემა წარმოშვა. სწორედ ამ პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებსა და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს შეეხება მოცემული ნაშრომი, რაც უფრო თვალსაჩინოს გახდის დაზარალებულის ამჟამინდელ უფლებრივ მდგომარეობასა და ყველა იმ პრობლემას, რომელსაც შესაძლებელია ჰქონდეს ადგილი სისხლის სამართლის პროცესში.

საკითხის შესწავლა განხორციელდა შედარებით სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, რომლის საშუალებითაც მოხდა კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების სიღრმისეულად წარმოჩენა, ასევე საჭიროებისამებრ, პრაქტიკაში არსებული მდგომარეობისა და კანონმდებლობის შესწავლა.

ნაშრომის მთავარი მიზანია, მეტად თვალსაჩინო გახდეს გარკვეული ხარვეზები, რომელიც პრაქტიკაში ვლინდება დღესდღეობით და ასევე გამოიკვეთოს ბოლო დროინდელი საკანონმდებლო ცვლილების, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. ეს ყოველივე კი უკეთ წარმოაჩენს ყველა იმ საჭირო ნაბიჯს, რამაც შესაძლებელია დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვალოს.

## Abstract

The main research topic of this work is the rights of the victim, not at any stage of the criminal process, but the analysis of his/her role and rights as a whole, both at the stage of investigation and trial.

In 2010, changes in the criminal procedure legislation limited a number of powers to the victim, as a result of which he is no longer a full-fledged party to the criminal proceedings and has equal rights as a witness. These changes should have made the legal status of the parties more equal in the first place, but in reality all this has created quite a lot of problems. This topic tells us about the ways to solve the problems, which make more visible the current legal status of the victim and all the problems that may have occurred in the criminal proceedings.

The study of the issue was carried out on the basis of a comparative legal analysis, which provided an in-depth presentation of the changes in the legislation, as well as, if necessary, a study of the current situation and legislation. The main purpose of the work is to highlight some of the shortcomings that are manifested in practice today and also to highlight the pros and cons of the recent legislative changes.